

## საქართველოს კანონი

### ”ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. ”ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №20, 04.05.2005, მუხლი 143) მე-7 მუხლს დაემატოს მე-4 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

”4. სახელმწიფო უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ”საქართველოს პატიმრობის კოდექსით” დადგენილი წესის შესაბამისად.”

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 აგვისტოდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი